

ნინელი ჭოხონელიძე

ზოგი ფონეტიკური ვარიანტის ისტორიისათვის რევაზ ინანიშვილის ენაში

ყოველი ენა თავისი ისტორიის მანძილზე მისთვის დამახასიათებელი შინაგანი კანონების მიხედვით ვითარდება და იცვლება. ამიტომ სალიტერატურო ენა, რომელიც, მართალია, ნორმირებულია როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკული ფორმების თვალსაზრისით, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება განსხვავებული იყოს; „ენას ხალხი ქმნის, სამწერლო ენას – მწერლობა, სამწერლო ენის ძეგლები ენის ნაკვალევს ტოვებენ ისტორიაში. ენის სპეციალისტი ამ ნაკვალევის მიხედვით აღადგენს, მეტნაკვლები სისრულით, თუ რა სახისა იყო იმ დროს ენის ლექსიკა, სიტყვისა და წინადადების სტრუქტურა, ბგერითი შედგენილობა“ (ჩიქობავა 1984: 37).

„მწერლის ენა ლიტერატურული ენის განშტოებაა, მხატვრული ლიტერატურის ენაა. მას ერთიანი საფუძველი და მკვეთრად ჩამოყალიბებული ნორმატიული სისტემა აქვს, მაგრამ იგი ისევე მრავალსახოვანია, როგორც თვით მწერლობა, და ინდივიდუალური წყობის შემოქმედის ხელში თვითონაც ინდივიდუალური და განუმეორებელი ხდება. სწორედ ამაშია მწერლის ენის, როგორც საკვლევი პრობლემის, მიზიდულობის ძალა“ (კობალაძე 1983: 100).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რ. ინანიშვილის შემოქმედება. „რ. ინანიშვილის ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სიმდიდრე და მრავალფეროვნება ერთი თვალის გადავლებითაც კი ნათელია. ეს მრავალფეროვნება თანაბრად საინტერესოა როგორც საკუთრივ ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, ასევე მწერლის ენისა და სტილის თვალსაზრისით“ (კოშორიძე 2005: 247).

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ რ. ინანიშვილის ენაში დადასტურებული ლექსიკის იმ ნაწილს, რომელიც ფონეტიკური პარალელური ვარიანტების სახით გვხვდება. შევეცდებით წარმოვადგინოთ ამგვარ სიტყვათა ისტორია და მათი მიმართება თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმებით გათვალისწინებულ ფორმებთან.

ფონეტიკური ვარიანტების გაჩენა რ. ინანიშვილის ენაში სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული:

1. შეიძლება ისტორიულად განსხვავებული წარმომავლობის სიტყვები დროთა განმავლობაში ფონეტიკურად და სემანტიკურად ერთმანეთს დაემთხვეს. მაგალითად:

ქსუტუნ- // ქშუტუნ-:

[დათვმა] დედამ...ბელს... გამწყრალმა და უქსუტუნა (ზორ. 249, 2).

[დეკეული] თებროლეც მიაჩერდა, და უქშუტუნა [ყვავს] (გოლგ. 313, 16).

ქეგლში ქსუტუნი არ არის მითითებული. **ქშუტუნის** შესახებ კი ვკითხულობთ: **ქშუტუნი** ნაწყვეტ-ნაწყვეტი ქშენა. **დაიქშუტუნებს** ქშუტუნს გამოსცემს. ამავე შინაარსით დასტურდება **ქშიტინი** და **ქშიტინებს**.

ივარაუდება, რომ **ქსუტუნი** და **ქშუტუნი** სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვებია. ერთი მხრივ, **კს** → **ქს**: **კსინვა** „ავად აშლილივით ჰაერი“; **ქსინავს** (იმერ.) მძიმედ, მისუსტებულად სუნთქავს. **ქსიტვა** (გურ.) „ცხვირის დაცემინება“ და **ქსუტუნი**, ხოლო, მეორე მხრივ, **ქშენა**, **ქშინავს** „ხმაურით მნელად სუნთქავს“ (ერთელიშვილი 1970: 126-127). ამ ფუძეთა დამთხვევა ადრეულ ხანაში უნდა მომხდარიყო. დ. ჩუბინაშვილთან აღნიშნულ ფუძეებში შინაარსობრივი განსხვავება აღარ იგრძნობა. **ქშენა**, **ქსენა**, **ქშინვა** – გასაგონად ფშვინვა; ქაქანი.

ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში მხოლოდ **ქშუტუნ-** ფუძიან **ქშუტუნებს** ფორმაა მითითებული.

ცმაცური // ცმაცუნი:

ეს სიტყვები **ტურ-** ფუძესთან ერთად გამოიყენება და მწერლის ენაში შემდეგ შემთხვევებში დასტურდება:

[გოგო] ტურებსაც აცმაცუნებდა, ცხვირსაც, მე მგონია, ყურებსაც (გოლგ. 30, 18).

[თხა] იყო ფეხებგაბიჯგული და ისე აცმაცურებდა ტურებს (გოლგ. 281, ქვ. 1).

ქეგლში ვკითხულობთ: **ცმაცუნი** იგივეა, რაც **ცმაცური**.

[მკითხავმა] ჩააგდო ჯერ ერთი ხორბლის მარცვალი, აიღო ხელში დანა და ნახშირი და დაიწყო ტურების ცმაცუნი, მითამ და ულოცავს (ილია). შორიდან უცხადებდნენ [კურდღლები დათვის]

თავიანთ გრძნობებს წვერების (=ულვაშების) ცმაცუნით (ვაჟა).

ცმაცური: ოდნავ მოძრაობა (ტუჩებისა, ულვაშისა); „ოდენ რყევა“ (საბა).

„კატა სეირს მიყურებდა ულვაშების ცმაცურითა“ (აკაკი). „თქვენი ლაპარაკი წვერების ცმაცურად არა ღირს“ (ი. მარჯანიძე).

ცმაცურ- ფუძიანი ზმნური ფორმა **ცმაცურობს** კი **ქეგლის** მიხედვით პოლიპერსონალურია, იგი დასტურდება, როგორც ძველი, ისე ახალი მნიშვნელობით.

ცმაცურობს: 1. უხმოდ მოძრაობს (ტუჩები...). [ლევანის] ტუჩები კიდევ ცმაცურობდნენ, ალბათ ის რაღაცას ამბობდა კიდევ (დ. კლდ.). 2. იხ. ცმუკავს. კირილე... ცმაცურობდა, თითქო რაღაც სამიზეზოს ეძებდა, რომ ჩხუბი აეტეხა (დ. კლდ.); შდრ. საბა.

საბა და **დავით ჩუბინაშვილი** ამ სიტყვებს სხვადასხვა დატვირთვას აძლევენ: **ცმაცური** – ოდენ რყევა (საბა). **დ. ჩუბინაშვილი** კი გამოყოფს სინტაგმას: **ცმაცუნი ტუჩებისა. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში** ორივე ფორმა მართებულია და მიჩნეული.

ჟურ- || ჟუბ-:

მწერლის ენაში **თვალ-** სიტყვასთან ერთად დასტურდება **ჟურ-** და **ჟუბ-** ფუძიანი ლექსემები შემდეგ შემთხვევებში:

დედასავით ხშირწამწამებიან თვალებს ოდნავ ჟურავდა (გოლგ. 50, 15).

გვხვდება **ჟურ-** ფუძიანი მიმდებარე **მიჟურული**.

თვალეზიც – ვიწროდ გაჭრილი, საფეთქლებამდე გაზიდული, თითქოს მხურვალებისაგან მიჟურული (გოლგ. 294, ქვ. 9).

ჟუტავს: [დედა] ჟუტავს თვალებს (ჯაფ. 369, ქვ. 7).

ერთი შეხედვით, ერთნაირი შინაარსის სიტყვები **ჟურავს** და **ჟუტავს** სხვადასხვა წარმომავლობისა ჩანს.

ჟურ- ფუძე წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს წვეთის მნიშვნელობის **ჟურ-**ს. შდრ. **ჟური** წვეთი.

„კოკაში ჟური წყალი არა დგა“ (ქიზ. მენთ.). **ჟური** წვეთი, ცვარი. „რო მნახე, ვედრაში ჟური წყალი არ იდგა, ნეტრა იფიქრე, ვინ მაეტანსო?“ (გ. კახ. სახლთხ.). **ჟურვა** ვჰსწურავ, ვსწურეტ (დ. ჩუბინ.).

ვფიქრობთ, **ჟურავს თვალ-** სიტყვასთან ერთად გადატანითად იქნა გამოყენებული „წყლიანი თვალების“ აღსანიშნავად.

ჟუტავს კი უნდა უკავშირდებოდეს **ბჟუტავს** ფორმას.

ბჟუტად: ავად ხედვა (**საბა**); **ბჟუტა, ბჟუტვა:** ბნელად და უსინათლოდ ვბდვინავ (**დ. ჩუბინ.**). ამავე ლექსიკონშია მითითებული სინტაგმა **ბჟუტა ვარსკვლავის** შესახებაც. **ქეგლის** ახალ გამოცემაში ვკითხულობთ: **ბჟუტავს:** ძლივძლივობით ანთია და ოდნავ ანათებს.

ცეცხლი ბჟუტავდა, ქრებოდა, ალი კვდებოდა ძალზედა (**გაყა**). შუა ბოდის რაფაზე... პატარა კვარის ნაჭერი ბჟუტავს (**ევ. გაბ.**). არაგველთა ხიდთან მხოლოდ ერთი ლამპარილა ბჟუტავს (**გ. ლეონ.**). ფიგურ. სადღაც გულის იმედში ბჟუტავდა იმედი (**ი. გადეგ.**). მისი პატარა ციმციმა თვალები ძლივდა ბჟუტავდნენ სიმსუქნით დასივებულ ლოყებში (**გ. წერეთ.**).

აქვე დასტურდება შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც:

ბჟუტვა: ვარსკვლავის ბჟუტვა (**ს. შანშ.**). აფორიაქდა მიძინებული სიჩუმე თაღთა და ამოტივტივდნენ სანათურების ბჟუტვაში ლანდები (**მიხ. მრევლ.**).

სინტაგმა **თვალების ბჟუტვა** კი ასეა განმარტებული: თვალების ოდნავ გახელით ყურება.

ჩაფიქრდება და თვალების ბჟუტვით [ამბობს] (**რ. ერისთ.**).

დასტურდება ასევე სიტყვები: **ბჟუტია, ბჟუტი:** რაც ბჟუტავს, – მბჟუტავი, ციმციმებს.

ბჟუტი სინათლე (**პ. ჩხიკვე.**).

აღსანიშნავია, რომ **ჟუტ-** ფუძიანი **ჟუტია** ხევსურულშიც დასტურდება. **ჟუტია** ჭუტა-ლა. **თვალთ იჟუტავს** თვალებს ჭუტავს (**ხევს. ჭინჭ.**).

ქიზიყურში კი ეს სიტყვა **ჟიტას** სახითაა წარმოდგენილი. **ჟიტა** თვალზე ლიბრგადაკრული (**ქიზ. მენტ.**).

ფხვენ- || ფშვენ-

მწერლის ენაში გვხვდება შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები:

ფხვენ- ჭამად დამჯდარი, გაიფენდა წინ პურის ნაფხვე-ნებს (**გოლგ. 39, 15**).

ღამით გავფხვენით გახურებულ ღუმელთან, კუჭუჭის დახლით გახალისებულებმა (**ჯაფ. 125, ქვ. 1**).

ფშვენ- მე კიდევ და კიდევ ვუყრიდი პურის ნაფშვენებს (ჩიტ. 297, 5).

ჩვენი აზრით, **ფშვენ-** ფუძე **ფშვენ-** და **ფხვენ-** ფუძეთა კონტა-მინაციით უნდა მიგვეღო. **ფშვენ-** და **ფხვენ-** ფუძიანი ლექსემები სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით გავრცელებულია ქართულ სამწერლო ენაში. დასტურდება რ. ინანიშვილის ენაშიც. ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად წარმოვადგენთ ამ ფუძეებისაგან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებსაც.

ჩამოეფშვენება: ივლისში, ფოთლები რომ ჩამოეფშვენებათ, პატარა ბარით ამოვიღებ ფოთლებს (**გოლგ. 353, 21**).

დაფხვნის ფხვნილად აქცევს, – დანამცეცებს, დაფშვნის. ყველი... დაფხვენით და კვერცხის გულში აურიეთ (**ბ. ჯორჯ.**).

დაფხვნილი: რაც დაფხვენს ან დაიფხვნა, – ფხვნილად ქცეული, დანამცეცებული, დაფშვნილი. ზაფხულში დაფხვნილი ზამთარში გამოდგებაო (**ანდაზა**).

ნაფხვენი: რაც დაფხვენს ან დაიფხვნა, – ნაფშვენი; ფხვნილი. როგორც დაფაზე მირჩენილი ცარცის ნაფხვენი, მკრთალად მოჩანდნენ ვაშლის ხის ყვავილებიც (**კ. ლორთქ.**).

ამავე შინაარსითაა მითითებული ფშაურსა და მთიულურში დადასტურებული **ნაფხვერი:** „ნამცვერი, ნამცეცი“ (**ა. შან.**), ნაფხვენი: ძვალეbs-კი, მცირე ნაფხვერსა, იქვე აწყობდნენ ერთადა (**ვაჟა**).

დაფშვნის ქეგლში განმარტებულია **დაფშვნის** ზმნის პირველი მნიშვნელობის გათვალისწინებით: წვრილ-წვრილ ნაწილებად აქცევს (ჩვეულებრივ თითებით, ხელით), – დაფხვნის.

დაფშვნის: აილო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და დაფშვნა (**აკაკი**). ძველი, ხის გუთნით ნახნავი ნაცარივით დაეფშვნა ყინვას (**ბ. ჩხ.**). **ნაფშვენი:** რაც დაიფშვნა; რისამე ფშვნის შედეგად დარჩენილი. გარს კი მხერდი ხალხის საფლავს დიდ ნანგრევთა ნაფშვენებში (**გ. ლეონ.**).

დაფშვნის: ეს ამოდენა სათვალეები დაფშვნა, დალეწა, სულ მტვრად აქცია! (**რ. ერისთ.**).

ქართ. ორთოგრაფ. ლექსიკ.-ის მიხედვით, სწორი ფორმებია **ფხვენ-** და **ფშვენ-** ფუძიანი ლექსემები. თუ **ქეგლის** მონაცემებს გავითვალისწინებთ, კანონზომიერად მიგვაჩნია მწერლის ენაში დადასტურებული **ნაფშვენიც**.

ტყაპუნ- || ტკაპუნ-:

ტყაპუნ-: წვიმის ბრტყელი წვეთები ძირხვევნისა და კულმუხოს ფოთლებზე ატყაპუნდა (**შორ. 274, 12**). მხიარულად ატყაპუნებდნენ ტაშს (**გოლგ. 195, ქვ. 1**).

ტკაპუნ-: ტკაპუნობენ მკვრივი ხმელი ფოთლებიც (**ჩიტ. 267, 2**). ნიათწარამეულ ხელს კაბის ქვეშ გულთან იტკაპუნებდა თინა (**ალერს. 155, 19**).

დასტურდება **ტკაპ-** ფუძიანი გაორკვეებული კომპოზიტიც: **ტკაპატყუბი**.

მოდიან ფოთლებიც, ტკაპატყუბით (**გოლგ. 312, 3**).

ვფიქრობთ, რომ **ტყაპ-** და **ტკაპ-** სხვადასხვა წარმომავლობის ფუძეები უნდა იყოს. **ქეგლის** მიხედვით **ტყაპუნ-:** მაგარ რამეზე რისამე დარტყმის, ცემის ხმა (შდრ. ტყაპანი).

დარეჯანმა გაათავა ერთი ზემოხსენებული გვარის მოგზაურობა და თავში ტყაპუნი, და ოფლში გაწუწული შემოვიდა ოთახში (**ილია**). ტყაპ, ტყაპ, ტყაპ! – უეცრივ შემომესმა ფეხის ტყაპუნი (**შ. არაგვ.**).

ტყაპატყუბი კი **ქეგლში** განმარტებულია, როგორც ზედიზედ დარტყმის ან დაცემის ხმა, ხშირი ტყაპატყუბი.

ტკაპუნი ქეგლში არ დასტურდება.

ტყაპუნის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შემდეგი მოსაზრება: ფუძედრეკადი ზმნებისაგან ნაზმნარი სახელების წარმოებისას ფუძისეული **ე** ხმოვანი შეიძლება **ა** ხმოვნით შეიცვალოს. ასეთია **ვ-ტყებ – ვ-ტყებ-ე – ტყაპუნ-ი** (ერთელიშვილი 1970: 104).

თავის მხრივ, **ტყებ-** წარმომავლობით იგივეა, რაც ძველსავე ქართულში გამოვლენილი **ტყებ-** || **ტყებ-** ფუძიანი ფორმები. **ტყებ-** ფუძიანი ლექსიკური ერთეულები ძველ ქართულში ნიშნავს „გოდებას, ტირილს, გლოვას“ (მოთქმას თავში ცემით). ამ ფუძეს აკავშირებენ **არტყ, სარტყელ, დარტყმა** სიტყვების **რტყ-** ძირთან (ცხადაძე 67: 76).

„მოვიდოდეს ასულნი ისრაჴლისანი „ტყება“ **G**, – აღმოვიდოდეს ასულნი ისრაჴლისანი ტირილად (გოდებად M)“ **pb., მსჯ. 11, 40**; „ვსტყებ ცოდვათა ჩემთა“ **მ. ცხ. 97v**; „არცა იტყებნეთ, არცა იტირნეთ“ **pb., –** „არცა დაიტირნეთ, არცა დაიტყებნეთ“ **ო, ეზეკ. 24, 23**; „ყვეს ტყებაჲ დიდი მას ზედა“ **საქ. მოგ. 8, 2**; „ყონ ტყებაჲ

ვითარცა დევთად“ **მიქ. 1, 8**; „დადადებენ გლოით და ტყეებით“ **მ. სწ. 16, 23 (აბულ.)**.

ძველსავე ქართულში თავს იჩენს **ტყეა-** ვარიანტი:

მშობელნი... გოდებით ეტყეპედ შვილთა თვსთა (**წარტყ. იბ, 2-3**).

ტყეა- ფუძიანი სიტყვები ამ მნიშვნელობით შემონახულია შუა საუკუნეების სამწერლო ძეგლებშიც.

შეიქმნა ტყება და ტირილი (**რუსუდ. 599, 1**). [დედამ] შექნა თავს ცემა და ტყება, ტირილი, მოთქმა, გოდება (**დ. გურამ.**).

ქეგლში ტყეა- ფუძიანი ლექსემები ძველის კლასიფიკაციითაა წარმოდგენილი, მისი ფონეტიკური სახესხვაობა **ტყეა- ტყაა-** კი ნიშნავს „ცემას ხელით“. **ტყეა:** საუბ. სცემს (ხელით).

„ისე დაბეჭილი ვარ, თითქო დაბახანაში... უტყეპიათო!“ (**ა. ცაგარ.**). **ტყეა:** სიმშილი, ლალვა ნადირთა, თმენა ლანძღვის და ტყეპისა“ (**ვაჟა**). „კაი ხანია, მისი ჯინი მჭირდა,... ვიჯერე გული მისი ტყეპით“ (**დ. კლდ.**).

რ. ინანიშვილიც იყენებს **ტყეა-** ფუძიან ზმნას – **დატყეებს**.

ბებია... მწვანე ღოღოშმაგას ფოთლებს დატყეპდა, გააბრტყელებდა ხელისგულებზე (**მთვარ. 100, 4**).

ტკაპუნისათვის კი ამოსავალი უნდა იყოს ძველსავე ქართულიდან მომდინარე **ტკეპნ-** // **ტკეპნ-** ფუძიანი ზმნური ფუძეები: **ტკეპნა, ტკეპნა** – თელვა.

ფერჭნიმცა შენნი ზღურბლთა მისთა სტკეპნიან (**მ. სწ. 19, 22 – აბულ**).

ქეგლის მიხედვით **ტკეპნის** – ტკეპნით ასწორებს, ზერგნის. **ტკეპნა** – ფეხით ან რაიმე მძიმე საგნის დაწოლით გასწორება, მოსწორება (მიწის, თოვლის, ...ზედაპირისა), ზერგნა.

„ერთ ადგილზე შეჩერება, მიწის ტკეპნა და ტორტმანი ჭირვიით მეჯავრება“ (**ნ. ლომ.**).

ტკაპუნ-ი და მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმები **ქეგლსა** და **ქართ. ორთოგრაფ. ლექსიკ.**-ში მითითებული არაა.

2. დროთა განმავლობაში ერთი და იგივე ფუძე ფონეტიკურად იცვლება და სალიტერატურო ქართულში რომელიმე მათგანს ენიჭება უპირატესობა. ასეთებია:

ტრუნ- || ტვრინ-:

(ქალმა)... თვალები დახუჭა და თავმომკვდარუნებული ნადირით გაიტრუნა (**გოლგ. 297, 4**). (მარეხი) მოიკუნტა, საბანი შემოიკეცა, გაიტრუნა (**გოლგ. 368, 23**). [ლიტას] შარვალს მამაკაციური ჯიბეები არ ჰქონდა, დაცინვით დაიხედა ზედ, მერე ხელები ილიაში ამოიწყო და ასე გაიტვრინა (**ჯაფ. 201, 16**).

ვფიქრობთ, რომ ამ ფუძეებისათვის ამოსავალია **ტურნ-: იტურნა:** დაიყურნა (**საბა**). **ტურნება: ვიტურნებ** – ვუდარილებ, ვუყარაულებ (**დ. ჩუბინ.**).

ქეგლში წარმოდგენილია როგორც **ტვრენ-** ისე **ტრუნ-** და **ტურნ-** ფუძიანი ლექსემები. ისინი ერთნაირი სემანტიკის მატარებელი არიან.

გაიტვრინება – გაინაბება, მიყუჩდება, გაკმენდს (ხმას) – გაიტრუნება. მწვანე კალიამ სული განაბა, გაიტვრინა (**თ. რაზიკ.**). **გატვრენილი:** ვინც ან რაც გაიტვრინა, განაბული. [ხატაურამ] სუნთქვა გაკმინდა... და... რამდენსამე წუთს ასე იყო გატვრენილი (**შ. არაგვ.**). „ვერა ხედავ, განა, ფისოს, გატვრენილს და განაბულსა?!“ (**შ. მღვდმ.**). **გატვრინდება:** წიწილებს ჩასთბათ, წივილს უკლეს და გატვრინდენ (**თ. რაზიკ.**). **გატვრინული:** სოფიო რამდენსამე ხანს ერთ ადგილას გატვრინული და გამშრალი იდგა (**შ. არაგვ.**).

გაიტრუნება: გულაჩქროლებული ნატო აივანზე გაიტრუნა (**მიხ. მრევლ.**). || ფიგურ. ამ შემთხვევების შემდეგ დადუმდა პატარა ოჯახი, გაწვა, გაიტრუნა (**გ. ბარნ.**).

ტურნ- ფუძიანი ლექსემები ძირითადად დიალექტებში დასტურდება.

ქეგლში მითითებულია **გატურნული** კუთხ. (ფშ.) იხ. დება. ახალ სამწერლო ენაში იგი ვაჟას მეშვეობით უნდა იყოს დამკვიდრებული. ბევრჯელ უტირნია სერეფენიას, სოროში მოკუნტულს თუ სადმე ჯაგის ძირას – გოხებში, ლოდებს შუა გატურნულს (**ვაჟა**).

იტურნებს: გაიტრუნება. დედაჩემმა მართას ხმა რო გაიგონა, იტურნა (მეგ). **ნატურნი:** გატურნული, განაბული, გაჩუმებული. განგებისათ რო გაჩუმდება ადამიანი და ხმას არ გასცემს ადამიანსა, იტყვიან, ნატურნიაო (ერთაწმ.). ბავშვებ შაუჭამიათ ითელი ქილა მურაბაი, იმიტვინ არიან ნატურნი (კავთ.). თურმე შენც ხელი გირევია იმ საქმეშია, განა არა, ვიფიქრე, რათ არი ნატურნი - მეთქი (გრაკ.) (**ქართლ. ლექსიკ.**).

გაიტურნება: გაიტურნება. „რად გაიტურნება ხოლმე ედ გოგო, რატო ხმადა არ იღვეს?“. **გატურ[ვ]ნა:** გატურნვა, განაზვა. „მეგან ისეთი გატურნა იცი, კურდღელი ვერ აჯობვეს?“. **გატურნული** გატურნული, განაზული. „ბავშვები გატურნულები ისხდნენ ბუხართან და გულდასმით ისმენდნენ ბაბოა ზღაპრებს“ (**გ. კახ. სახლთხ.**).

ტურნ- ფუძე შეცვლილი მნიშვნელობით ლაზურშიც დასტურდება. **იტურნამს** ფიქრობს, ოცნებობს, ნატრობს.

„კოჩიქ დიდო იტურნამს“ – ადამიანი ბევრს ფიქრობს, ოცნებობს“ (**ლაზ. ნარაკ.**).

ტურნ- ფუძე შესატყვისია მეგრულის **ტვირინ-** ფუძისა.

ოტვირინაანას, მორიდებით ჩუმად იყურება (**მეგრ. ელ.**).

როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებული ფუძეების ამოსავალი უნდა იყოს **ტურნ-**.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, სწორი ფორმებია **გატვრენა, გატვრენილი. გაუტვრენია || გაუტრუნავს. გატვრენილი (|| გატრუნული).**

3. ერთი სალიტერატურო ფორმაა, მეორე დიალექტური და სტილის თავისებურებითაა გაპირობებული.

კუნჭ- || ყუნჭ-:

[წერო] უმეტეს ნაწილს მაინც კუთხეში მიკუნჭული ატარებდა (**ჯაფ. 36, ქვ. 3**). დავფქვი, მივიკუნჭე ერთ კუთხეში ჩემი ტომრიანად (**ჯაფ. 139, 11**). აქვე მწერალი **კუნჭ-** ფუძის პარალელურად იმავე შინაარსით ხმარობს **ყუნჭ-**ს. წეროს თითქოს შეეშინდა, უკან-უკან დაიწია და ისევ კუთხეში მიიყუნჭა (**ჯაფ. 361, 21**).

უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი **კუნჭ- || ყუნჭ-** ფუძიანი ფორმებიდან უპირატესობას **ყუნჭ-**ს ანიჭებს.

ხურჯინში ღრმად ჩავიყუნჭე (**შორ. 92, ქვ. 7**). უკან-უკან მიიყუნჭა ფშატების ძირში (**ალერს. 141, 4**). სულ სიწყნარე უნდა, სულ სადღაც მიიყუნჭვა, საამქროშიც კუთხეშია მიიყუნჭული თავისი საკერავი მანქანით (**გოლგ. 262, 9**). ბავშვი დედის ყელს შეყუნჭოდა (**გოლგ. 299, 6**). ამ სამლოცველოს სდარაჯობს ფიცრული ჯიხურის კედელთან მიიყუნჭული შუახნის სახეფიქრიანი კაცი (**გოლგ. 312, 10**). რა თქმა უნდა, იყო გაჭირვებებიც, მაგრამ ის გაჭირვებები ისეთ ადგილებში იყო მიიყუნჭულიები, ბავშვური თვალი ძნელად რომ ჩასწვდებოდეს იქამდე (**ტ. 1, 28, 28**). ობობა... ერთ ყვე-

ლაზე ბნელ და მიუდგომელ საყუნჭავში ცხოვრობდა (**შველ. 123, 10**).

დასტურდება ამავე მნიშვნელობით **ყინჭ-** ფუძეც:

იქ ერთი ხის ქვეშ ვილაც მიყინჭულიყო (**გოლგ. 41, 32**).

მიგვაჩნია, რომ ზემოდასახელებული სიტყვებისათვის ამოსავალი ფუძე იგივე **კუნჭ-** უნდა იყოს, რაც **კუნჭულში** გამოიყოფა, ხოლო **ყუნჭ-** მისი ფონეტიკური ვარიანტია. შდრ. **მიიკუნჭება:** კუნჭულში, კუთხეში მოფარებით მიდგება, მიიმალება (**ქეგლ**). **კუნჭული**, საბას განმარტებით, ბადეთ კუთხე, გინა ნაქსოვთა. ქართლურში დასტურდება **კუნჭულ-** ფუძიანი ლექსემაც **მიიკუნჭულაფებს:** კუნჭულში მიიმწყვდევს.

მიიკუნჭულავე სადმე და დაიჭირე! (გუჯაბ.). მივიკუნჭულავე, ასწია მართული და გაძვრა (გუჯაბ.) (**ქართლ. ლექსიკ.**).

კრუნჩხ- || კვრანჩხ-

დაკრუნჩხული: ხომ იყო დაკრუნჩხული მაგისი მამა (**ალერს. 143, ქვ. 6**). ყინულის პაპამ...აქა-იქ შერჩენილი ფოთლები დაკრუნჩხა, დაასაცოდავა (**შორ. 163, 2**).

დაკვრანჩხული: ყინულის პაპამ... ილას... დაკვრანჩხული ჩხაკუნა თითები ნელ-ნელა მიუტანა ცხვირთან (**შორ. 165, 20**).

კრუნჩხვა: ვჰბლუნძავ, ვჰზრუკავ (**დ. ჩუბინ.**).

ქეგლში დასტურდება **კრუნჩხ-** ფუძიანი შემდეგი სიტყვები: **კრუნჩხი** „გაცხავების შემდეგ ერთად დახვავებული თავთავები“ (**კირ.**).

კრუნჩხავს 1. კაკვავს, მოხრის. [ლოკოკინა] ერთ ბეწვა ხმაურობაზე უცებ კრუნჩხავდა [რქებს] და სადღაც მალავდა (**თ. რაზიკ.**). 2. სპაზმებს იწვევს. [ხოლერა] მთელ სხეულსა კრუნჩხავს (**ი. გოგებ.**). **იკრუნჩხება:** კრუნჩხვით იგრიხება; იბუზება, იკუნტება. თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან (**ილია**). [ჩიტები] ლობეებს და ჩირგვებს ქვეშ მიყუჟულიყვნენ და სიცივისაგან იკრუნჩხებოდნენ (**თ. რაზიკ.**).

ქართლურში **კრუნჩხ-** ფუძიანი სიტყვები შემდეგი მნიშვნელობითაც გვხვდება.

კრუნჩხი: პატარა, ზრდადაუსრულებელი (ტარო). შეიძლება ტარო გაიკეთოს, მაგრამ სუ კრუნჩხი ტარო იქნება (კავთ.). სუ კრუნჩხი იყო, გემო არა ჰქონდა (ძეგ.) (**ქართლ. ლექსიკ.**).

კრუნჩხ- შესატყვისი უნდა სვანურში დადასტურებულ **კჷ ა'რ'ჩხაჲ (-იშ, -ჲრ) ფუძისა ბზ., კაჩხჷაჲ (-ჷაიშ, -ჷარ) ლშხ., კაჩხჷა (-იშ, ჷარ) ლნტ.** – კოჭლი. აგის ჩჷჷმსედღელი კჷაჩხაჲ დაჷ (ბზ. 404) – შინ დარჩენილი კოჭლი დევი. კჷაჩხაჲ ქათლადგენქა მამგჷემ ჯეთხან (პოეზ. 24). – კოჭლი ქათმის მეტი არაფერი იშოვე (გეშოვა) **(სვან. თოფ. ქალდ.). კაჩხვ კოჭლი (ლაშ. კ.) (ჩოლ.) (სვან. ლიპარტ.).**

ყუნტ- || ყუნთ-:

ცხოველების „უკანა ფეხებზე დაჯდომის“ შინაარსით რ. ინა-ნიშვილი ხმარობს **ყუნტ- || ყუნთ-** ფუძიან შემდეგ სიტყვებს:

იქვე დაყუნტებულან ძაღლებიც **(ჯაფ. 368, 7).** მამალი...მაჩვი დაყუნტ და **(შორ. 274, ქვ. 2).** ტურები... დაყუნტ დე-ბოდნენ ტყისპირა სახლის შორიახლოს **(შორ. 157, 11).**

[ბეხა] დაყუნთულა გამხდარი, წვრილი, დიდყურება **(ალერს. 189, 13).** შესასვლელთან დიდი ქოფაკი ძაღლები დაყუნ-თულან **(კეთ. 344, ქვ. 7).**

ვაჟას ენაშიც პარალელურად დასტურდება როგორც **ყუნტ-**, ისე **ყუნთ-** ფუძიანი სიტყვები.

ჰყუნტია || ჰყუნთია დაცუცქებულია, წამოსკუპებულია. [წიწი-ლა] ჰგრძნობს, საქმის ბოლო ცუდია, და საცოდავად ისიცა სუფრის ბოლოში ჰყუნტია **(„ნახევარ-წიწილა“, 6).** **ჰყუნთია:** მოხუცი ტოტია, თავპირდასიებული ჯაგს უკან ეყუნთა, ფიქრებში იყო გა-რთული **(„ამოდის, ნათდება!“, ვაჟა).**

ამ მნიშვნელობით **საბა** და **დავით ჩუბინაშვილი** მიუთითებენ სხვა სიტყვაზე: **ყუნცი** „ძაღლისა ალას ჯდომა“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საერთო ქართველური ფუძე **ყუნტ-** „მოკუნტვა, დახრა“ → ქართ. ← **კუნთ- ყუნტ-**: სვან. **ყუნთ-** (ჩუხუა 2000-2003).

ჩვენი მოსაზრებით, **კუნტ- || ყუნტ-** ფონეტიკური ვარიანტებიდან ამოსავალია **ყუნთ-** ფუძე, რომელიც, თავის მხრივ, უნდა მომდინარეობდეს **კუთ- || კუ(ნ)თ-**იდან. როგორც ა. შანიძეს აქვს დადასტურებული, **კუთი** (მთ. მოხ. თ.) წვივის უკანა (რბილი) ნაწილია **(შან.).** ვფიქრობთ, რომ **კ-ყ-**ს მონაცვლეობა სიტყვა **ყუნც-**ის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული.

ფახურ- || ფახულ- || ფახუნ-:

მწერლის ენაში „ხამხამის“, „დახამხამების“ შინაარსით **თვალ-** სიტყვასთან ერთად გვხვდება **ფახურ-|| ფახულ- || ფახუნ-** ფუძიანი

შემდეგი ზმნური ფორმები:

აფახულებს: [შუქია] აფახულებდა ხშირს და გრძელ წამწამებს (**მთვარ. 187, 10**). გამყიდველებთან მიამიტურად ვაფახულებთვალებს (**გოლგ. 65, 15**). **აფახუნებს:** ერთხანს შემკრთალი აფახუნებდა თვალებს (**ალერს. 100, 12**).

როცა იგივე სინტაგმა გადატანით არის ნახმარი, მწერალი იყენებს სხვა ფონეტიკურ ვარიანტს – **აფახურებს:** როგორც ჩანს, ზღვის ნაპირებზე შუქურები აფახურებენ თვალებს (**ჯაფ. 144, 10**).

ქეგლში ამ მნიშვნელობით დასტურდება სამივე ვარიანტი: **ფახუნი** – ქუთუთოების ჩქარი მოძრაობა, ხამხამი. **აფახუნებს** (იმერ.) – ახამხამებს (თვალებს). **აფახურებს** – ამომრავებს (ქუთუთოებს – თვალის დახუჭვა-გაღებისას), ახამხამებს (თვალებს). **აფახულებს** იგივეა, რაც აფახურებს.

ძლივს აფახულებდა დიდრონ თვალებს წვერგაბურძენილი მთავარეპისკოპოსი (**კ. გამსახ.**). || ფიგურ. ვარსკვლავები მჭიმუნვარედ აფახულებდნენ მოოქროვილ წამწამებს (**კ. გამსახ.**).

სიტყვის ამოსავალი ჩანს **ფახ-** ფუძე. შდრ. (**და**)**ფახვა** ხუჭვა – **სახა. ფახვა** (ვჭფახავ) ვჭხუჭავ თვალთა (**დ. ჩუზინ.**).

ფახ- ფუძიანი სიტყვები **„ფეფხისტყაოსანშიც“** იჩენს თავს.

მისნი მჭვრეტელნი შექმნნა თვალისა მფახველად (**ვეფხ. 1180, 1**). თვალნი ცრემლ-ნაფახულები (**ვეფხ. 152, 2**).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ **ფახავ-** ზმნურით ფუძიდან მომდინარე მიმღეობაა **ფახული** → **ფახური** || **ფახუნი**.

ზარგან- || **ზრაგან-**:

ზარგან-: თინა... თავის ტომრებთან მიზარგანდა (**ალერს. 169, 30**). კაცი კი მიზარგანაობს (**შორ. 90, ქვ. 2**). პირველი სინათლის დანახვისთანავე მივრბივარ, მივზარგანაობ მისკენ (**მთვარ. 161, 3**).

ზრაგან-: მივარღვევ, მივზრაგანაობ (**ჯაფ. 139, 30**).

ზარგანაობა (ზარგანობა) ბარბაცი, მთვრალის ტორტმანი (**სახა**). **ზარგანი** სიარულში წინა ფეხის წამოკვრა რამეზე და წაფორხილება (იცის მუხლსუსტმა ცხენმა) – **ქეგლ**.

ამოსავალია **ზარგ-** ფუძე, რომელიც, ვფიქრობთ, წარმომავლობით კავშირშია მეგრულ „მუხლის“ აღმნიშვნელ **ბურგულ-** || **ბირგულ** სიტყვებთან. აღსანიშნავია, რომ გ. როგავა **ზარ-კალ** ფუძეს უკავშირებდა ზანურში **ბურ-გულ** მუხლ- ფუძეს და მუხლის, ფე-

ხის გამომხატველ ძირად **გ-კ-კ** რეფლექსებს მიიჩნევდა (როგავა 1946: 10).

ბერღარ- || ბელღარ-:

ბერღარი: კოწოწაშვილები საგუბარს ბერღარების თავზე გადავლით შემოუვლიან (**შორ. 117, 16**).

ბელღარი: წავედი, სახევებელი და ბელღარები მოვინახულე (**ჯაფ. 136, 22**).

საბა განმარტავს: **ბელღარი** რუსათვის ღარის კიდი. ღარის მნიშვნელობით კი უთითებს **ბელღარს**.

ქეგლის ახალი გამოცემის მიხედვით, **ბერღარი** დარგ. წისქვილის დიდი ღარი ბორბალზე წყლის მისაშვებად და გადასაგდებად. **ბელღარი** 1. ხევის ერთი ნაპირიდან მეორეზე წყლის გადასაყვანად დადებული ღარი, ღარხიდა. საილუსტაციოდ მოხმობილია რ. ინანიშვილის ზემოდასახელებული ფრაზა. 2. წისქვილის ღარი (ბორბალზე წყლის მისაშვებად).

ვვიქრობთ, ამოსავალი სწორი ფორმაა კომპოზიტი **ბერღარი**, რომელიც ასე შეიძლება დაიშალოს **ბერ-ღარი**. **ბერ-** იგივე უნდა იყოს, რაც **ბერა** (შუა გასასვლელი – **საბა**). **ღარი** სითხის ღია სადინარი ხისა (ან ლითონისა) – **ქეგლი**.

ცნობილია რ. ინანიშვილის ზედმიწევნით ცოდნა როგორც თავისი თანამედროვე სალიტერატურო, ასევე ძველი და ახალი საერთო ენისა, მისი სათუთი დამოკიდებულება და დიდი ალლო ქართული სიტყვისა. ეს კარგად ჩანს მის მიერ გამოყენებული პარალელური ვარიანტების შემთხვევაშიც. თითოეული მათგანი იქ არის მოხმობილი, სადაც მხატვრულად აღწერილი სიტუაცია მოითხოვს. იგი მხოლოდ ახალი ლექსიკური ერთეულებით კი არ ამდიდრებს, ანდა აცოცხლებს სიტყვათა ძველ მნიშვნელობებს, არამედ ცდილობს ასევე გაააქტიუროს სიტყვათა ის ფონეტიკური ვარიანტები თუ მორფოლოგიური ფორმები, რომლებიც თანამედროვე განმარტებით ლექსიკონებში უკვე არაა ასახული და არც ორთოგრაფიულადაა გამართლებული, მაგრამ ძველი ქართულიდან მომდინარეობს, ანდა ენის განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით შექმნილი დიალექტური ნეოლოგიზმებია და სახალხო ენის საკუთრებას შეადგენს.

ლიტერატურა

ერთელიშვილი 1970 – ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

კობალაძე 1983 – მ. კობალაძე, მწერლის ენის შესწავლის ორი ასპექტის შესახებ, საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი.

კოშორიძე 2005 – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

როგავა 1946 – გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურ ენებში: იკე, თბილისი.

ჩიქობავა 1984 – არნ. ჩიქობავა, ხალხი, ენა, მწერალი: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ცხადაძე 1984 – ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოება ძველ ქართულში, თბილისი.

ლექსიკონები

აბულ. 1973 – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

გ. – კახ. სახლთხ. 2003 – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი.

ვაჟა 1969 – ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბილისი.

ვეფხისტყ. 1956 – ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი.

ლაზ. ნარაკ. 1987 – ციალა ნარაკიძე, ლაზურის სალექსიკონო მასალა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, 6, თბილისი.

მეგრ. ელ. 1987 – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი – თბილისი.

საბა 1966 – ს.- ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (ორ წიგნად). წიგნი I, თხზულებანი, ტ. IV, 2, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი.

სვან. 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

სვან. 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი [ჩოღურული კილო], თბილისი.

ქართლ. ლექსიკ. 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი.

ქველ 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. 1-8, თბილისი.

ქველ. ახ. რედ. 2007 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, (რედაქტორი – ავთ. არაბული), თბილისი.

ქართ. ორთოგრაფ. ლექსიკ. 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ქიზ. 1943 – სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი.

დ. ჩუბინ. 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი.

ხეგს. 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხეგსურული ლექსიკონი, თბილისი.

წყაროები

ალერს. – რევაზ ინანიშვილი, ალერსი შიშიანობის დროს, 1986, თბილისი.

ასულ. – რევაზ ინანიშვილი, მთვარის ასული, 1987, თბილისი.

გოლგ. – რევაზ ინანიშვილი, პატარა ბიჭი გოლგოთაზე, 1989, თბილისი.

კეთ. – რევაზ ინანიშვილი, კეთილი მიწა, 1984, თბილისი.

მეგობ. – რევაზ ინანიშვილი, მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, 1958, თბილისი.

ტ. I – რევაზ ინანიშვილი, ტომი, I, 1953-1968, თბილისი.

შველ. – რევაზ ინანიშვილი, შველი ზამთარში, 1986, თბილისი.

შორ. – რევაზ ინანიშვილი, შორი თეთრი მწვერვალი, 1976, თბილისი.

ჩიტ. – რევაზ ინანიშვილი, ჩიტების გამოშამთრებელი, 1978, თბილისი.

წარტყ. – წარტყუნვად იერუსალჴმისად, თქმული ნეტარისა სტრატიკი მონაზონისად, გამოსცა ნ. მარმა TP, კი. IX, СПб., 1909.

ჯაფ. – რევაზ ინანიშვილი, ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, 1974, თბილისი.